№ 179
პარასკევი, 21 აგვისტო, 1898 წ.

1877—1898

ივერია

№ 179
პარასკევი, 21 აგვისტო, 1898 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

თავადი ზაალ ნოშრევანის ძე ჭავჭავაძე აუწყებს რა ნათესავთა და ნაცნობებს გარდაცვალებასა 18 ამა აგვისტოს კოჯორში თავისის ძმის, ტფილისის გუბერნიის გლეხთა საქმეთა საკრებულოს წევრის, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის, თავადის

იასე ნოშრევანის ძის ჭავჭავაძისას,

სთხოვს მობრძანდნენ 21 აგვისტოს, დილის 9 საათზედ წირვაზედ იოანე ღვთის-მეტყველის ეკკლესიაში ვერაზედ, სადაც ეკკლესიის გალავანში დასაფლავებული იქმნება განსვენებულის გვამი.

პანაშვიდი გარდახდილ იქმნება ყოველდღე ნაშუადღევის 5 საათზედ. (3—127—3)

ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლა

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის სკოლაში არის სულ 45 ვაკანსია და ისიც მხოლოდ I მოსამზადებელ განყოფილებაში. სხვა განყოფილებებში და პროგიმნაზიულ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

შესაძლებელია, სექტემბერში მოსწავლეების ხელ-მეორედ გამოცდის შემდეგ განთავისუფლდეს რამდენიმე ადგილი, მაშინ დაინიშნება საკონკურსო ეგზამენი და მიღებულ იქნებიან ისინი, ვინც საუკეთესოდ დაიჭერენ ეგზამენსა.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 30-დან. ამასთანავე საჭიროა შემდეგი საბუთის ქალალდები: ნათლობის მოწმობა, ყვავილის აცრის მოწმობა, და მოწმობა ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან, რომ მოსწავლის მშობელი არიცხება ამ ბანკის დამფუძნებელ წევრთა შორის.

ხელ-მეორედ ეგზამენი მოხდება 1, 2, 3 და 4 სექტემბერს. მისაღები საკონკურსო ეგზამენი 5 და 7 სექტემბერს.

10 სექტემბრიდან სკოლა გადადის ივ. ჯაიანის სახლში, ლევაშოვის ქუჩაზედ.

სწავლა დაიწყება 16 სექტემბერს.

ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორი ალ. ალ. გარსევანიშვილი
(3—ნ.—3)

ექიმი
კ. ი. გძელიშვილი
მიიღებს
უფასოს, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნევენცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.
(—ნ.—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათ. საღოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჯ. შ ჩაქოჯანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ს. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი. — დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ს. ბ. კარაბეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ს. გ. გურკო. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობისა, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

სადამოობით:

ვ. მ. მახვილაძე. — 6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

ბ. ს. ნავასარდიანი — $6^1/_2$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო — სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; არიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову
(წ)

ახალი ამბავი

⁂ კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი ტფილისში ჩამოვა მოსკოვიდგან 22 აგვისტოს საღამოთი.

⁂ ტფილისში ჩამოვიდა ქუთაისის გუბერნატორი გვნერალ-მაიორი თ. კ. გერშელმანი.

⁂ მამა არხიმანდრიტის კირიონის სახელდება ეპისკოპოსად დანიშნულია საქართველოს ექსარხოსის სახლის დარბაზში შაბათს, 22 მარიამობისათვეს, დილის 12 საათზედ, ხოლო ხელ-დასხმა ეპისკოპოზად კვირას, 23 მარიამობისთვეს, სიონის საკრებულო ტაძარში. ამ დღისათვის მოწვეულნი არიან ეპისკოპოსნი: გურია სამეგრელოისი, ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, რომელიც უკვე ჩამობრძანდა, და იმერეთისა — ყოვლად სამღვდელო ბესარიონი. ამათ გარდა ხელ-დასხმაში, რომელიც შესრულებულ იქმნება მისის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანეს მიერ, მონაწილეობას მიიღებს ყოვლად სამღვდელო ლეონიდი, ეპისკოპოსი გორისა.

⁂ არქიმანდრიტმა კირიონმა ქვათახევიდგან ჩამოიტანა და ჩააბარა ტფილისის საეკკლესიო მუზეის 96 ცალი ხელნაწერი, რომელთაგან არა მცირე ნაწილი ტყავზედ ნაწერია. ტყავზედ ნაწერთა შორის არის ერთი სახარება, რომლის ბოლოში წმ. გიორგი მთაწმინდელის ანდერძია ჩართული. ეს სახარება, ჩემის ფიქრით, უნდა იყოს ნაშთი მე-XI საუკუნისა. ანდერძი ფრიად ვრცელია და შიგ მოთხრობილია, თუ რამ აიძულა გიორგი ხელ ახლა ეთარგმნა სახარება. ძველი თარგმანები გადამწერლებს გაერყვნათო და ამიტომ მე ახლად ვსთარგმნეო. ერთგან სწერია (ანდერძში): „სახარებასა მართალსა და უფროჲს გზასა ბრწყინვალესა. ახლად განწმენდილსა წმიდისა მამისა რუენისა მიერ. გიორგი მთაწმიდელისა. რომელსა შინა არა არს ერთიცა ასო მრუდი და ნაკლული და არცა მეტი, ხოლო ჩამიწერია საძიებელი წელიწადისა“ და სხ. შესანიშნავია აგრეთვე **დავითნი**, წვნიკის ნუსხურით გადაწერილი (სათაურები ოქროს მელნით გამოყვანილია) 1494 წელს ამბროსის მიერ პატრონის მზეჭაბუკის ბრძანებით. ამ ძვირფას დავითნის შესახებ გვექნება საუბარი ცალკე წერილში, რომელშიაც განვიხილავთ ყველა დავითნს ერთად, ხოლო ეხლა უნდა შევნიშნოთ, რომ ერთ სხვა ხელნაწერში ჩვენ შეგვხვდა ფილოსოფოსის ი. შეტრაწის თქმული იამბიკოები და სხვა წიგნში კიდევ ძვირფასი ცნობა მე-VI საუკუნის მთარგმნელთა — დავითისა და სტეფანეს შესახებ.

ქვათახევიდგან მოტანილ წიგნთა უმეტესი ნაწილი ყოფილა კუთვნილება ცნობილის ტარასი არქიმანდრიტისა და აგრეთვე ნიკონისა (ჯობინაშვილისა).

კირიონისაგანვე მუზეის გადმოეცა აგრეთვე დიდი სურათი ანტონი I-ისა (ზოგნი ამბობენ, ანტონი მეორეაო). კარგი იქნება, რომ ჩვენმა მესურათხატებმა გადიღონ ამ სურათის პირი და გაავრცელონ.

⁂ დრამატიული საზოგადოების კრება დანიშნულია 3 სექტემბერს. ამ კრებამ უნდა განიხილოს, თუ რა გვარად იქმნას წარმოებული ქართულ დრამატიულ წარმოდგენების გამართვის საქმე ამ მომავალს სეზონში.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს გადაეცა განსახილველად საქმე თავ. გიორგი შალიკაშვილისა და აზნ. ივანე მამაცაშვილისა, რომელთაც ჰბრალდებათ, რომ 12 ივლისს განიზრახეს სადგურ სკრაზე ჟანდარმის იაკობ ხოვრუნგის მოკვლა, ხანჯლით დასჭრეს და რევოლვერიც ესროლეს.

⁂ რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელში წელს სულ 20 ადგილია მოწაფეთათვის, ხოლო თხოვნაკი სასწავლებელში მიღებისა მიუცია 115 კაცს. სასწავლებლის მმართველობას განზრახვა აქვს გააღიდოს შენობა სასწავლებლისა და სახელოსნოებისა.

⁂ ეხლახან თიონეთის მაზრაში საქონლის ჭირი იყო. მთავრობამ ამ მაზრაში მახლობელ ადგილებიდგან გაგზავნა ბეითალები და ფერშლები. იქვე წავიდა თელავის მაზრის ბეითალი და მთელი მაზრა დარჩა უბეითალოდ, თუმცა ამ ჟამად აქ ბეითალი საჭიროა, რადგანაც აქაც რაღაც ავადმყოფობა გაჩნდა საქონლისა.

⁂ პეტერბურგის გაზეთებში დაბეჭდილია ანგარიში ტყვიაბულის ქვანახშირის მადნების მწარმოებელ საზოგადოებისა. ამ ანგარიშიდგანა სჩანს, რომ 1897 წელს საზოგადოებას ზარალი ჰქონია 156,889 მან, რაც 1896 წლის ზარალთან ერთად შეადგენს 352,275 მან. გარდა ამისა საზოგადოებას დაეწვა ერთი ჭირხანა 1897 წ. ოქტომბერში. ბალანსიდგანა სჩანს, რომ საზოგადოებას ძირის თანხად ჰქონია 3.000.000 მანათი, ვალი 2.201.800 მან.

⁂ „მშაკს“ სწერენ ქართლიდგან, რომ აქ წელს ახალი პური ფუთი იყიდება 90 კ.—1 მანათამდეო. ამავე გაზეთს სიღნაღიდგან სწერენ, რომ ხორბალი იყიდება 80 კაპ., ხოლო სიმინდი 55 კაპ.

⁂ გაზეთი „ნოვ. ობოზ.“ იუწყება, რომ ოზურგეთის მოურავს თავ. ნ. თავდგირიძეს, რომელიც ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფება, იმედი აქვს მალე მიიღოს ნებართვა ოზურგეთში დედათა პროგიმნაზიის დაარსებისა და ოზურგეთიდგან სადგურ ნატანებამდე რკინის გზის გამართვისა იმ პირობით, რომ ამ რკინის გზის გამართვა კერძო საზოგადოებამ იკისროს.

⁂ ჭყონდიდელი. ამ სამოთხის დღის წინად ტფილისიდგან ჩამოვიდა აქ გეოლოგი ბ-ნი სიმონოვიჩი, რომელმაც დათვალიერა ჭიშურას მახლობელი ადგილები, სადაც დიდ ძალი წყაროს წყალია. ეს წყარო ქუთაისზედ მოშორებულია სულ რვაცხრა ვერსით. თითონ ბ-ნ სიმონოვიჩს მოსწონებია ეს წყარო და უთქვამს, რომ ეს სრული ტფილისის მილის წყალსაო. შემდეგ ორჯელ დაათვალიერა აქაურმა სამხედრო ინჟენერმა ბ-ნმა გრიაზნოვმა, რომლის დაახლოვებითის ანგარიშით ეს წყარო დღე-ღამეში მისცემს ქუთაისს 300.000 ვედრა წყალს. ამ წყაროს წყალი ტფილისში გაჰგზავნეს, რომ ქიმიურად გასინჯონ.

⁂ ბ-ნი ზ. ჭიჭინაძე ჩვენ გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი:

„კარგა ხანია, რაც სოლომონ მსაჯულის შესახებ სხვა-და-სხვა ისტორიულს ცნობასა ვკრებ. ამგვარის მეცადინეობით საკმარისად ბევრი მასალა შევკრიბე, მაგრამ საჭიროა, რომ უფრო მეტი შეიკრიბოს. ჩემ მიერ შეკრებილს მასალაში ზეპირად დაშთენილი ცნობაც ბევრია მოთავსებული, რომელნიც ჩვენის ბრძენ მწიგნობარ მოხუცებულთაგან გამიგონია.

„ამიტომ მივმართავ ყველა ჩვენს გულშემატკივარს და ვთხოვ, რომ თუ ამ მაღალ გონების კაცის ცხოვრების შესახებ მოეპოვებათ რაიმე ცნობა, წერილობითი, ან თუ ზეპირი, არ დაგვიშუროთ და წარმოგვიგზავნოთ ჩვენ. წერილებისა და ცნობების გაცნობის შემდეგ ყოველსავე უნაკლულოდ დავუბრუნებთ პატრონებს.

„ამ საგნის შესწავლა თელავისა და დუშეთის მაზრის მცხოვრებთა ყურადღებას მივაქცევ, რადგან ამ მაზრებში უფრო სცხოვრებდა ეს შესანიშნავი ქართველი კაცი“.

ოქროიდე სიტყვა ქიზიყის დეკოს წევრთა წლიურ კრების შესახებ.

(დასასრული *)

წარსულს წელს საზოგადო კრებაზედ დაუდგენიათ, გამგეობის წევრთა აზრის წინააღმდეგ, რომ წევრებისათვის დეპოდგან საქონელი ნისიადაც ეძლიათ, ვიდრე ერთ წლამდის, რომლის განმავლობის შემდეგ გამგეობას თავისი აზრი უნდა წარუდგინა—შესაძლებელია თუ არა ნისიად საქონლის ძლევა. მაშასადამე, როგორც ამ გარემოებიდგანა სჩანს, ეს მხოლოდ ცდა ყოფილა, მაგრამ საზოგადო კრებისაგან ძალაში შესული და დაკანონებული, ვიდრე სხვა რამ ახალს განკარგულებას მოახდენდა. ამავე დროს, საზოგადო კრებისავე გარდაწყვეტილებით, გამგეობის წევრთ, რომელნიც თავისის შრომისათვის არავითარს სასყიდელს არ იღებენ, ნება თურმე ჰქონდათ დართული თვეში სამის თუმნისა რამ დაეხარჯათ დეპოდგან. რადგანაც დადგენილი ყოფილა, რომ თუ წლიურ ანგარიშის შემდეგ დეპოს მოგება დარჩებოდა, აქედგან რამდენიმე % გამგეობის წევრთ მისცემოდათ შრომის ფასად, კრებას ასე გარდაუწყვეტია: თუ დეპოს მოგება ექნება და შრომის ფასი ერგოთ გამგეობის წევრთ, მაშინ დანახარჯი იქიდგან გამოერიცხოთ, თუ არა და, ვალდებულნი არიან დანახარჯში ფული წარმოადგინონო. კრების ასეთი დადგენილება გამგეობის წევრთ, რასაკვირველია, მიუღიათ. ამ გარდაწყვეტილების თანახმად გამგეობის წევრთ ნისიად უძლევიათ და დღემდის წევრებზედ დარჩენილა 1731 მან. 70 კაპ. ნისია. მაგრამ დაკარგულად არ ჩაითვლება, რადგანაც სოფლის მცხოვრები, გლეხია თუ ინტელიგენტი, იმას არ იკადრებს, რომ საზოგადოების ფული შეჭამოს და მეორე მხრივ, თუ ასეც მოხდა, ბრალი მაინც გამგეობას არ მიუძღვის. გარდა ამისა, ორის წლის განმავლობაში

*) იხ. „ივერია“, № 178

გამგეობის წევრთ, იმავე კრების გარდაწყვეტილების თანახმად, დაუხარჯავს დეპოდგან: ივანე გომელაურს 978 მან. 16½ კაპ., ბ-ნს ჯავახიშვილს—878 მან. 65 კაპ. და დ. ნადირაძეს—887 მან. 59½ კაპ. ოპოზიციის წევრნი, უფრო-კი ერთის პირით, რომელიც სხვებზედ ნიჭიერი მოლაპარაკე იყო, იმას უსაყვედურებდნენ გამგეობას, რომ საწევრო ფული ნაღდად არა გაქვთ ხელში და ნისიაში გაგიფანტიათო; თან დასძენდნენ ეჭვს, რომ ეს ნისია დაკარგულიაო. მაგრამ ეს ეჭვი უსაფუძვლოზედ უსაფუძვლოა: ივანე გომელაურს, რომელსაც დეპოდგან მხოლოდ 978 მან. საქონელი წაუღია და ნისიად არის იმაზედ დარჩენილი, იმავე დეპოში თავისი საკუთარი ფული 3,800 მან. აქვს, ამათგან 2,000 მან. დივიდენდზედ შეტანილი. ბ-ნს ჯავახიშვილს კიდევ დეპოს შენობაზედ 2,055 მ-ნ. თავისი ნაღდი ფული დაუხარჯავს; ხოლო ნადირაძეს 7,000 მან. თამასუქებზედ ხელი უწერია. მითხარით, თუ რომ ეს დეპოსთვის თითქმის თავ-გადაკლული ხალხი იმ საქმეს იზამს, რომ ნისიას არ დააბრუნებს, იმაზედ ადვილი რა არის, რომ აიღონ და იმათ საკუთრებიდგან გამოურიცხონ. მაშინ ხომ ფული ხელთ ექნებათ. თორემ გამგეობის წევრნი ხომ უარს არ არიან. პირ-იქით, მთლად თავისის ქონებით თავდებნი არიან ყოველისავე ნისიისა. უკანასკნელად, 9 აგვისტოს, მომხდარს კრებაზედ გამგეობის ერთმა წევრმა, როგორც „H. O.“-ეს კორესპონდენციიდგანაც სჩანს, ისიცკი უთხრა თურმე, ოღონდ ეგ „შაირები“ მოსპეთ და ჩემ საკუთარს 4,000 მან., რომელიც დეპოშია, კიდევ ხვას დავყრი და ეხლავე მიიღეთ თქვენი საწევროო. ეს იმიტომ-კი არ უთხრა, რომ მართლა დაკარგული რამ ჰქონდეს დეპოს, არა, მხოლოდ იმისთვის, რომ ღრმად დარწმუნებული იყო, საქმე არაფერს იზარალებდა. ამ სიტყვით რომ შერცხვნენ და ამ მხრივ კოჭი ალჩუს არ დაუჯდათ, აიღეს და შემდეგი სოფიზმი, ანუ ჩვენებურად რომ ვთქვათ, ხრიკი გამოაგდეს:—მითხარით, ბატონებო, საზოგადოებას რომ 19,000 მან. შეძლება ჰქონდეს და ამდენივე ვალი, ნაღდად რამდენი ჰქონიაო,—გაძახოდა ერთი ოპოზიციონისტი და თავისს თავს-კი, რასაკვირველია, ანგარიშს არ აძლევდა, ასე თამამად წარმოთქმულს მოჩვენებულს სიმართლეს რა საბუთებზედ ამყარებდა...

ერთის სიტყვით, თავით ბოლომდის ოპოზიციის წევრნი მხოლოდ იმასა სცდილობდნენ, რომ შეთხზულისა და უმართლო ამბით საზოგადო კრებისათვის გზა-კვალი დაებნიათ, საქმის ვითარება გარკვევის ნაცვლად გაებუნდოვანებინათ და სხვა არაფერი.

* * *

როგორც „ივერიისა“ და „H. O.“ მკითხველებმა უწყიან, ოპოზიციონისტების ესეთმა აბდა-უბდობამა და გაცვეთილმა ვითომ-და მახვილ-სიტყვაობამ ის გამოიწვია, რომ საზოგადოებამ ვერც პირველსა და ვერც მეორე საზოგადო კრებაზედ სასურველი ვერა დაადგინა რა და ამოირჩია მხოლოდ კომისია, რომელსაც მიანდო გამგეობისა (რომელიც აღარ სთანხმდება დარჩენასა) და სარევიზიო კომისიისათვის კანდიდატები აირჩიონ, ე. ი. ეძებონ, რადგანაც საჭიროა როგორც პირველში, ისე მეორეში უთუოდ საიმედო და შეგნებულნი კაცნი მოჰყვნენ. ეს პირველი, და მეორე კიდევ ის შეჰქმნა ამ გარემოებამ, რომ ვინც კი ღონიშნულ კრებების აბდა-უბდაობის ანგარიშს წაიკითხავდა, ყველა რაღაცა ეჭვის თვალით დაუწყებს ცქერას დეპოსა და მის შემდეგს მოქმედებას, რაიცა დიდ და დიდ დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს დეპოს მოწინააღმდეგეთ. მესამე და ყველაზედ არა სასურველი ღვაწლი-კი ის მიუძღვით ოპოზიციონისტებს, რომ თავისს მოქმედებით „Тиф. Лист.“-ის № 185-ში წამოჭიმეს საგაზეთო ჯამბაზისა და ახალის, Novus ისნილაბით გამოსულის ცნობილის ზოილის წერილი, რომელიც უფრო კბილების უხამსო კრეჭაა, ვიდრე დალაგებული საუბარი ამ საქმის ავისა და კარგის შესახებ.

ზრახვანი გულისანი ოპოზიციონისტთა ამ რიგად დღეს მათდა სურვილისამებრ დაგვირგვინებულია. შესძრეს ქვეყანა, აცნობეს თავი, თუ რა ფხიზლად ადევნებენ თვალს საქვეყნო საქმეს და რაოდენის გულმტკივნეულობითა და სამართლიანობით (?) მხარს უჭერენ, ჰკვთიდ-მოუკრობენ!.. საბერძნეთის ისტორიაში ცნობილმა ჰეროსტრატმაც ამაზედ მეტი რაღა ჰქნა: თვით მოყვარეობის საღერღელი რომ ეშოვა, დიანას ტაძარს ცეცხლი წაუკიდა და მით ქვეყნიერობაზედ სახელი სამარადისოდ განითქვა. გარჩევა მხოლოდ აქ ის არის, რომ, ჩვენდა სამწუხაროდ, მებრი გმირები გაცილებით მეტი გვყავს, ვიდრე საბერძნეთს, ერს, ცნობილს სამშობლოს იდეალურის სიყვარულით. და ამ გვარ გმირების დასს ჩვენში მუდამ შემცდარად ალიარებენ ოპოზიციად, რწმენის მქონედ, რადგანაც არც რწმენა და არც მოზადება, უმეტესს შემთხვევაში, მათ არ მოეპოვებათ, არა აქვთ წესრიგი, არა ჰყავთ ხალხი და, რაც ყველაზედ მეტი ყურადღების ღირსია, დედა-აზრი მათის მოქმედებისა ფუჭსავატობა და უსაქმურობაა. ასე რომ არა ყოფილიყო, განა განკიცხულ გამგეობის ნაცვლად თავისს კანდიდატებს არ გამოიყვანდნენ, განა თავისს გეგმას საქმის უკეთ მოსაწყობად არ წარუდგენდნენ საზოგადოებას კრებას? მაგრამ არა, არც ერთს მათს კანდიდატს საზოგადოებამ ყურადღება არ ათხოვა, ვერ ენდო, არც ერთი საშუალება საქმის წინ წასაწევად ოპოზიციას არ დაუსახელებია, და ამაზედ უკეთესს ხომ ოპოზიცია ვერც თუ რას მოიმკიდა!

აქ სამწუხარო უფრო ის არის, რომ ხშირად ამ გვარს მოქმედებას ხელს უწყობს ისეთი ადამიანი, რომელსაც სხვებზედ მეტად უნდა ესმოდეს, თუ რა მძიმე და პასუხ-საგებელია ასეთის საზოგადო საქმის შეფერხება, გათახსირება. თუნდაც მართლა გაჭირვებულს გარემოებებში იყოს საზოგადო საქმე, ამ გვარი ხალხი შველის ნაცვლად მთლად ძირს უთხრის და გული ერთხელაც არ ამხელს, თუ რა მიუტევებელს დანაშაულს იდენს. ჩემის აზრით, აღნიშნული და სხვა მრავალი მებრი გარემოება, რომელიც რაღაც ბედით წერასავით თითოეულს ქართულს კეთილს დაწყებულებას კვალ-და-კვალ სდევს, ის არის მხოლოდ, რომ დღემდის საზოგადოებრივი მოვალეობა, ერთ ურთთ შორის საზოგადოებრივი დამოკიდებულება შეგნებული არა გვაქვს, არა გვაქვს მიმართულება და პრინციპი, რომელიც საზოგადო საქმის საკეთილდღეოდ ჩვენს საკუთარს თვით-მოყვარეობასა და „მეობის“ განდიდებას ფრთას აკვიცდეს.

„Тиф. Лист“-ის ცნობილი კალმოსანი Novus“-თავისს „ლანძღვებანას“ ზემოხსენებულ დეპოს შესახებ ასე ათავებს:

„Рѣшено дать „депо“ отдыхъ до 1-го сентября. а тамъ будутъ пайщики приглашены раздѣлить между собой оставшуюся „хурду-мурду“. Скажутъ, что я радуюсь гибели общественнаго учрежденія. Было-бы это справедливо, если-бы это было общественное учрежденіе, но это не учрежденіе, а одно балагурство и толченіе воды въ ступкѣ“.

Novus-ის ასეთს უთავბოლო ლაპარაკს ყურადღებას არ მივაქცევდი, მაგრამ აქ აეხადა საქმეს პირ-ბადე. Novus დეპოს ოპოზიციონისტებზედ ბევრად რიგიანი ყოფილა: იგი არა ჰმალავს მაინც და ამბობს, რომ დეპო არც საზოგადო დაწესებულებაა (წყლის ნაყვად მიაჩნია) და მალე დაიკეტება კიდეც, რომლის შემდეგ დეპოს წევრნი დანარჩენს „ხურდა-მურდას“ ერთმანეთში გაინაწილებენო! ეჭვი არ არის, ოპოზიციონისტებსაც მხოლოდ ეს ჰქონდათ სახეში და მხოლოდ მოსაჩვენებლად დაინათლეს მოკრძალე ოპოზიციის სახელი. Novus-ს რომ არ ეთქვა, ჩვენც კარგად ვიცით, ან მას და ან მისებრ ვითომდა საზოგადო საქმის გულშემატკივართ ამ საზოგადო საქმეებზედ რა შეხედულებაცა აქვთ; მათს დროშას, რომელსაც თვისდა სამარცხვინოდ ყველგან აჰმართვენ ხოლმე, სადაც-კი ფეხს შესდგამენ, ეს აწერია: „ჩემი ბაგე და პირია მართალი, სადაც ვყვირიაო!“ მაგრამ საქმე არც მხოლოდ ეს არის. რასაკვირველია, გაქსუებულს ადამიანს რწმენაც თვის გვარი აქვს; საყურადღებოა მხოლოდ ის, რა გაუხდებათ ხოლმე მახლობელ მიზეზად, რომ თავისი უღირსი ხელი და პირი საზოგადო საქმეს უღირსად შეახონ და შთასანთქმელად დაუღრინონ?.. როგორც ნამდვილად გადმომცეს, ზოგიერთს დეპოს წევრს დ. მაჩხანელის მოთხრობებსა თუ წერილებში თავისი თავი უცვნია და მთლად განხორციელებულ ბოროტებად გადაქცეულა იმის გამო, როგორ თუ მე ასეთი საძაგელი ადამიანი ვყოფილვარო! გეცინებათ, განა, მკითხველო, და თან გეტირებათ, რომ ასეთი წევრი გასწორების მაგიერად ახლა სხვა საქციელს სჩადის, თავისი სიბოროტე მთლად საზოგადო დასაკეთილო საქმეზედ გადააქვს და მისის დამხობით უპირებს მაგიერის გარდახდას ადამიანს, რომელმაც, ზენასაგან მონიჭებულ მადლისა და მოწოდების თანახმად, მოძმეს ამხილა ეს-და-ეს ნაკლი გაქვს, გაისწორეო.

ვიცი, სწორედ აღტანელს სულიერს ტანჯვას იგრძნობს თითოეული გულწრფელი და პატიოსანი ქართველი ყველა ამ გარემოების გათვალისწინების შემდეგ და გულ დაკოდილი სამწუხარო ფიქრს მიეცემა,—რა გვეშველება, რომ ყველა საიმედო საზოგადო საქმეს ესე ვაბოლოვებთო, მაგრამ დეე, ნუ შეშინდება ნურავინ; ასეთი ხალხი ყველა ერსა ჰყავს, ყველგან იბრძვიან. ერთია მხოლოდ სასურველი, რომ იმედი განკარგებისა არ დავკარგოთ და შეძლებისამებრ ვეცადნეთ შევქმნათ პრინციპი, რომელსაც კერძოობის დათრგუნვა უნდა ჰქონდეს აზრად. ასეთი პრინციპი-კი ის ღრმა რწმენაა, რომელსაც უკიდურესის გაჭირვების დროს ერი იჩენს ხოლმე და რომელსაც ჩვენნი წინაპარნი არა ერთხელ უხსნია საქვეყნო განსაცდელისაგან. ამ პრინციპის სახელი საზოგადოებრივი ერთობა და მოვალეობის ღრმად შეგნებაა. რიცხვი იმ ცთომილთა, რომელნიც მუდამ წინ გვეღობებიან საქვეყნო საქმეში, მეტად მცირეა, მათი მოქმედება სამართლიანობის მტკიცე ნიადაგს მოკლებულია. არც ჩვენში და არც სხვაგან ესეთი ხალხი გამარჯვებას ვერ ელირსება, თუ უმეტესობა არ შეუშინდება და ყოველთვის ამხელს, რანიც არიან.

ინ-ანი.

წერილი სიღნაღიდგან

„ვაის გავეყარენით და ვუის შევეყარენით“ სიღნაღელები. ჯერ რა იყვნენ ჩვენი ქალაქის დეპუტატები და თვით-მმართველობის ხელში სულ უკუღმა წავიდა ქალაქის ბედ-იღბალი. წარმოუდგენელია გზებისა და ქვაფენილების მდგომარეობა. ალაგ-ალაგ უშველებელ თხრილებს წარმოადგენს და ამოცვივნული ქვები გზაში ჰყრია გაშლილი. მდებარეობა სიღნაღისა, ყველამ იცის, ოღრო-ჩოღროიანია, და აღმართ-დაღმართიანი. იმ დიდ აღმართს რომ შემოუდგებიან, სადაც აფთიაქი არის, ჩაუვარდებათ ხოლმე გლეხებს ურმის თვალი ღრანტეში; დაეხვევიან ხარებს, სცემენ რაც ძალი და ღონე აქვთ და ამითაც რომ ვერას გახდებიან, მერე მოუბავენ ათ-თორმეტ ულელს და რის წვალებით ააგორებენ სასწორამდის ტვირთს, საცა დიდ-ღიპა წურბელები ღიმილით ელოდებიან. თუმცა პირუტყვთ ადგებათ გასაჭირი რიგიან გზების უქონლობისა გამო, მაგრამ არც თუ ენიანები არიან კარგს დღეში; იმდენი სიცოცხლე ამ სტრიქონების დამწერს მისცეს ღმერთმა, რამდენიც აქ აგარაკად მოსულ „ჯენტლემნს“ ფეხი წამოეკრას ქვებისთვის, აეწიოს მაღლა ათს წუთს სიმწვავისაგან ისე სჭერიყოს. ამას ღამის სიბნელეც თუ დაუმატეთ, სწორეთ ჯოჯოხეთს წარმოადგენს ჩვენი ქალაქი. თხუთმეტამდის შემჭვარტლული, კისერ-მოგრეხილი ფარანი სდგას, რომლებსაც შიგა-და-შიგ ანთებენ ხან-და-ხან და ისიც თორმეტ საათამდის თუ შეჰყვა ნავთიანობა, ღმერთს თაყვანი უნდა სცეს კაცმა. მოიჯარადრე იჯარის გამცემთა მახლობელია და აბა ხმას ვინ გასცემს.

წარსულ ივნისში აქაურმა ბაყლებმა ქალაქის მამასახლისს არზა მიართვეს და სთხოვეს, ყურადღება მოგვაქციეთ, კარგად მოგეხსენებათ, აღებ-მიცემობით ვცხოვრობთ, ვიხდით გილდის ფულს, დუქნების და მოჯამაგირეების ქირა-ჯამაგირს. ვყიდულობთ კვერცხს, ქათამს, ღვინოს, პურს, ქერს, კიტრს, ნესვსა ზამთროს და სხვა-და-სხვა ჭირნახულს, რასაც ვყიდულობთ სოფლელებისაგან; ამასობაში სოფლის მანდილოსნები მოდიან, რომელნიც არავითარს გარდასახადს არ იხდიან, ჩვენზედ იაფად ჰყიდიან და ჩვენ-კი ვსხედვართ ყბა დაღუმულები და მომდევ ვყრით უმუშტრობით წამხდარ ჭირნახულსაო. მამასახლისმა მოისმინა რა ეს მუდარა, თორმეტი ათასი მგზდრი ათ ბაყაღს ანაცვალა და დაადგინეს ხმოსნებმა, აღარ შემოუშვან სოფლელები ქალაქში ჭირნახულით და ეს დადგენილება მისდა აღსასრულებლად აცნობეს მაზრის უფროსს, რათა პოლიციის მცველთ დახმარება აღმოეჩინათ. 27 ივლისს აღსრულებაში იქმნა მოყვანილი ზემოხსენებული უცნაური განკარგულება და სოფლის მანდილოსნები ჟივილ ხივილით დაირეკეს მოედნებიდგან... გავიდა სამი ოთხი დღე და ქალაქს მკვიდრთ შიმშილის გაჭირვება იგრძნეს, კვლავინდებურად ველარ ივსებდნენ იაფად კუჭს!.. გამოვიდნენ საჯაროდ მოედანზედ და თავისი სამდურავი და უკმაყოფილება განაცხადეს. მამასახლისმა სთქვა, დიდი შეცდომა მომივიდა და ვეცდები მოვუხერხო რამე ამ საქმესაო. კარგი ნუგეშია არა?! ამასობაში ბაყლებმა კვერცხი სამი ერთ შაურად გახადეს, სხვა სანოვაგესაც ასე წაუმატეს ფასი. ათიოდე ბაყალმა-კი, ცოტა არ იყოს, სული მოიდგა ამ ორიდე დღეში. 8 აგვისტოს, ხელმეორედ დაადგინეს, რომ ისევ ნება მიეცეთ სოფლის მანდილოსნებს თავიანთ ჭირნახულით ვაჭრობისა მოედნებზედაო.

უპირველეს სენს სიღნაღის მაზრაში სოფლად ციებ-ცხელება შეადგენს. ეს ციებ-ცხელება წარმოსდგება ჭაობებისაგან, სადაც მილლიარდობით ჰბუდობს ციებ-ცხელების ბაქტერია. ასეთი ჭაობიანი ადგილი ბევრია წინამხრის ალაზნის ველზედ, სადაც გაშენებულია უზარმაზარი სოფლები: ვაჭირი, ანაგა, საქობო, მაშნაარი, კარდანეხი, ველისციხე, გურჯაანი, ბაკურციხე და სხვანი და ივრისა და მდინარე ლაკბის ველზედ: არაშენდა, ქოდალო, მელაანი, ჯიმითი, შიბლიანი, ყანდაურა და სხვ. ზაფხულობით ამ სოფლის ხალხს ერთს ვერა ჰნახავთ ჯან-საღ, საცოდავად ჩამოყვითლებული ჰყრიან გზებსა და დერეფნებში დასიებულნი და ჰბაბანებენ. 1896—97 წლებში მღვდლები ვაჭირს და ანაგაში ვერცკი ასწროებდნენ ციებ-ცხელებით გარდაცვალებულთა დასაფლავებას. არავინ არის ამოდენა ქრისტიანთა გულ-შემატკივარი, რომ მალამოდ დაედონ გაჭირვებაში. საჭიროა მხნე დახმარება თვით ადმინისტრაციის მხრივ, რომ ჭაობიანი ადგილები ამოშრეს როგორმე. მკურნალობის მხრივაც ძალიანა ჰკოჭლობს ჩვენი მხარე. აქა გვყავს სამი მკურნალი: ერთი მაზრის მკურნალი და ორიც თავისუფალი. ვინც პირველ ექიმის ნახვას მოისურვებს, მანეთ ნაკლებ არ შეიძლება. დერეფნის კარებში გაკრულს ფორფიტაზეც უწერია „ვიზიტი მანეთი“. აქ, თვით ქალაქში, თუნდა მეზობელი იყოს ექიმისა, უეტლოდ არავინ წავა და ორი მანეთიც „ვიზიტისა“ უნდა მისცენ. გარშემო სოფლად, მაგალითად ვაჭირში, რომელიც ქალაქიდგან 5 ვერსის მანძილზედ მდებარეობს, 10 მანეთია ფასი ვიზიტისა; ქოდალოსა, კაჭრეთსა და გურჯაანში—25 მანეთი, უამისოდ ექიმი არ მიდის. ხალხიც ამიტომ გაუფრთხის მკურნალსა და წამლობას და სცვივა მკითხველების

ხელში, რომლებიც ხინის მაგიერ ცინხონანს (Cinchoninum muriotic). ჰყიდიან და ამითი გულის წყალმანკს ავრცელებენ ხალხში.

ი—ხ—ძე

რუსეთი

—

„მთავრობის მოამბე“-ში დაბეჭდილია იმისი წეს-რიგი, რა წეს-რიგითაც უნდა გამოთხოვილ იქმნას უმაღლესნი ჯილდონი. საზოგადო უმცირესი ვადა ჯილდოს მიღებისა 3 წელიწადია, ისე-კი, რომ მოხელენი ჯილდოზედ წარდგენილნი არ იქმნენ, თუ პირველ დასაწყისში სამსახურში შესვლის დღიდგან სამს წელიწადს არ გაუვლია. ვისაც სახელმწიფო სამსახურში შესვლის უფლება არა აქვს და სახელმწიფო სამსახურის უფლებანი უნდა მოიპოვოს, შეუძლიან ეს უფლებანი გამოითხოვოს, თუ სამაზრო სასწავლებელში სწავლის დამთავრების მოწმობა მაინცა აქვს. განსაკუთრებული ვადებია დანიშნული იმისათვის, თუ ვინ როდის უნდა იქმნას ჯილდოს შისაღებად წარდგენილი. სტანისლავის პირველ ხარისხის ორდენისათვის—3 წელიწადი, ანნას პირველ ხარისხის ორდენისათვის—4 წ., ვლადიმირის მეორე ხარისხისა—4 წ., თეთრის არწივის ორდენისათვის—5, ალექსანდრე ნეველის ორდენისათვის—5, ამავე ორდენისათვის, ბრილიანტებით შემკულისა,—5 წ. თუ მოხელე კეთილშობილის შთამომავლობისა არ არის, მან ვლადიმირის ორდენის მისაღებად ხარისხოვან თანამდებობაზედ უნდა იმსახუროს 20 წელიწადზედ არა ნაკლებ. თუ განსაკუთრებული რამ სამსახური მიუძღვის მოხელეს, შეიძლება 3 წლის ვადა ორდენის მისაღებად შემცირებულ იქმნას ერთის წლით. არა კეთილშობილთ ამ შემთხვევაშიაც არ მიეცემათ ვლადიმირის ორდენი, თუ 20 წელიწადზედ ნაკლები უმსახურნიათ ხარისხიანს თანამდებობაზედ. ვაჭართა წოდებისანი და აგრეთვე ისინი, რომელნიც საქველ-მოქმედო და სამადლო დაწესებულებაში ჰმსახურებენ, არ შეიძლება წარდგენილ იქმნან ღირსების რისამე მისაღებად, თუნდა ხარისხიანს თანამდებობასაც ასრულებდნენ. რაც შეეხება ორდენებს, ორდენებით შეიძლება დაჯილდოვებულ იქმნენ ხარისხთა მქონენიც და უხარისხონიც, ხოლო წარდგენილ ამა თუ იმ ორდენით დასაჯილდოვებლად იმის კვლობაზედ უნდა იქმნან, თუ რომელი ორდენი აქვთ და ეს თანდათანობა ვლადიმირის მესამე ხარისხის ორდენს ალარ უნდა გადასცდეს.

— როგორც რუსეთის მკვიდრთა საერთო აღწერის ცნობებიდგანა სჩანს, მთელს რუსეთში 7.800-მდე სული სცხოვრობს თურმე მართოლდენ ჟურნალ გაზეთის რედაქციებში სამსახურითა და სალიტერატურო შრომით.

— განზრახვა აქვთ პირველ ხანს სამი სადგური დააარსონ მთელს რუსეთის სახელმწიფოში მიწის ძვრის თვალ-ყურის სადევნებლად. პირველს სადგურს დააარსებს რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოება ირკუტსკში, მეორეს სამხედრო უწყება ტაშკენტში და მესამეს მეცნიერთა აკადემია—ტფილისში. ყველა სადგური ერთგვარის მოწყობილობისა იქმნება.

— რუსეთში ამ ბოლოს დროს ძალიან გაახშირეს ყალბის ზეითუნის ზეთის კეთება. პეტერბურგის დუქნებში ნამდვილს ზეითუნის ზეთს ვერ იშოვის თურმე ადამიანი, რადგან სულ ყველგან ყალბი ზეთი აქვთ. ამ გარემოებისათვის მთავრობას უკვე მიუქცევია ყურადღება და განუზრახავს ახლო მომავალში რაიმე წესრიგი დაადგინოს ზეითუნის ზეთის ვაჭრობის საქმეში.

ნაკვესი

— დედა შინ არის? ჰკითხავს სტუმარი პაწია ბავშვს.

— შინ არის, მაგრამ კბილებს იტკაებს.

— სიბრალული.. მერე ძალიანა სტკივა?

— ძალიან! ისე ასტკივდა, რომ რაკი ტკივილისაგან თითონ კედარ წავიდა, კბილები გაჰგზავნა ექიმთან.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ნორვეგიაში, როგორც სხვა ყველა სახელმწიფოში, ჯარში გაყვანილ ახალგაზდათა სიმაღლესა ჰხომავენ და სწერენ ხოლმე. ეს გაზომვა ამტკიცებს, რომ ევროპის ყველა სახელმწიფოთა შორის მხოლოდ ნორვეგიელებს ემატებათ სიმაღლე. სტატისტიკურ ცნობებიდგანა სჩანს, რომ ამ უკანასკნელ ოცის წლის განმავლობაში ნორვეგიელებს ორ სანტიმეტრზე მეტი სიმაღლე მოჰმატებიათ, ხოლო სხვა სახელმწიფოთა მცხოვრებლებს სიმაღლე თანდათან აკლდებათ, უწინ ნორვეგიელის ჯარის-კაცის სიმაღლე ორთა შუა რიცხვით ითვლებოდა 168.8 სანტიმეტრი, ეხლა-კი ზოგიერთ რაზმში 172 სანტიმეტრია. ამ გვარად ნორვეგიელებს იგივე მომატება ეტყობათ სიმაღლისა, როგორც ამერიკელებს, რომლებიც მთელ დედამიწის ზურგზე ყველაზე მაღალ კაცებად ითვლებიან, გარდა პატაგონელებისა და პოლინიზიელებისა.

* * *

არც ერთს ქვეყანაში არ არის ისე ძლიერ გავრცელებული ქველმოქმედება, როგორც ინგლისში. აქაურ მდიდარ კაცების დიდი შეწირულება სასარგებლო საქმისათვის არავის აკვირვებს, მაგრამ აქაც ხშირად გამოჩნდება ხოლმე ისეთი კაცი, რომელიც თვისის სიუხვით მთელს ინგლისს აალაპარაკებს. ასეთი ქველმოქმედია ამ უამად ინგლისში ჩაის ვაჭარი ტომას ლინტონი; ამ ლინტონმა თვისის ქველმოქმედებით ორჯერ აალაპარაკა საზოგადოება. დედოფლის ვიქტორიას იუბილეის დროს უელსის პრინცესამ მოიწადინა სადილი გაემართნა ლონდონის ყველა ღარიბ მცხოვრებთათვის. ამ საქმისათვის მარტო ლინტონმა შესწირა 25.000 გირვანქა სტერლინგი. ეხლა ნინტონს განზრახვა აქვს უფასო სასადილოები გამართოს ლონდონის მუშებისათვის, რომელთაც დუქნებში ძვირადაც უჯდებათ სადილი და ცუდს საჭმელსაც აძლევენ. ლინტონსა ჰსურს ლონდონის მრავალ ადგილებში გამართოს ისეთი სასადილოები, სადაც მუშა-კაცი მხოლოდ იმდენს ფულს გადიხდის, რაც თვით სასადილოს დაუჯდება. ლინტონის იმედი აქვს, რომ ერთი კერძი ხორცი პურით ორ პენსზე ძვირად არ დაჯდებაო, ხოლო სადილი—წვენი, ხორცი, პური და მწვანილი—4 პენსი. მუქთად სადილი არავის მიეცემა და ამგვარად სასადილო მუშებს იმათისავე ფულით აჭმევს პურს, რომ არავინ იფიქროს—მოწყალებას მაძლევნო. რაღა თქმა უნდა, რომ პირველად ამ სასადილოების გამართვას დიდი ფული დასჭირდება. ლინტონმა ამ საქმეს უკვე შესწირა 1.000,000 მანათი და განაცხადა, თუ საჭირო იქმნება—კიდევ შევწირავო. ამ საქმის განსახორციელებლად ლინტონმა დააარსა საზოგადოება უელსის პრინცესის თავმჯდომარეობით. საზოგადოების წევრებად ითვლებიან თვით ლინტონი, ჰერცოგი ნორფოლკი და ფრენსის ჯენი, დედოფალმა უკვე დაამტკიცა ამ საზოგადოების წესდება.

* * *

გაზეთი „Gaulois“-ი სწერს, რომ ვერსალში ზოლას საქმის გარჩევის დროს შემდეგი ამბავი მოხდა ცნობილის დერულედისა და ზოლას ვექილის ლაბორის შორის. იმ დროს, როდესაც დერულედი სასამართლოს დარბაზში შევიდა, ლაბორი მივიდა იმასთან და ხელი გაუწოდა.

— არა! არა! სთქვა დერულედმა და ხელი არ ჩამოართვა.

— ბ-ნო დერულედ! თქვენა სცდებით ეხლა. მაგრამ დრო მოვა და სიმართლეს შეიტყობთ.

— არა!—უპასუხა დერულედმა. ეგ არაოდეს არ მოხდება. შემდეგ კილო გამოიცვალა და დაუმატა „თქვენ დიდის ნიჭის პატრონი ხართ, ბ-ნო ლაბორი, მაგრამ მოწყმულნი ხართ. თქვენ კარგი მჭევრმეტყველი იქმნებოდით. პარლამენტის კარი ღია იქმნებოდა თქვენთვის. საუბედუროდ, თქვენ თქვენისავე თავის მოკვლა მოინდომეთ, თქვენ მკვდარი ხართ ეხლა, და არა ცოცხალი“.

გამოსადეგი ცნობა

ზეთიანი ჭურჭელი ადვილად არეცხება ყავის ნალექით ანუ ნახარშით. ზეთიანი ბოთლი, მაგალითებრ, ერთი მეოთხედამდე უნდა აავსოთ ყავის ნახარშით და შეაჭანჭყაროთ, ხოლო შემდეგ ყავის ნახარშა გამოჭყაროთ და ბოთლი რამდენჯერმე წყლით გამოავლოთ, ზეითიანობა სულ ადარ შეეტყობა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

18 აგვისტო

პარიჟი. („ჰავასის სააგენტო“). ყველა დასის გაზეთები სიხარულით მიეგებნენ რუსეთის იმპერატორის კეთილშობილს, დიდსულოვან და კაცთ მოყვარე დაწყობილებას და ეჭვი არა აქვთ, რომ სახელმწიფოთა უკვე განაცხადეს თანხმობა კონფერენციაზედ; მაგრამ ამავე დროს ეს გაზეთები ამბობენ, რომ შეიძლება ამ საქმემ უნაყოფოდ ჩაიარაოსო. „Figaro“ რუსეთის წინადადებისდიდსულოვანს ოცნებას უწოდებს. „Autorite“ ძლიერ აქებს რუსეთის იმპერატორის განზრახვას, მაგრამ ამავე დროს კითხულობს: ეს წინადადება თანხმობის ნაცვლად უთანხმოებს ხომ არ გამოიწვევსო? „Siecle“ სწერს: „დღეს, როდესაც ყველას იარაღზედ უჭირავს თვალი, ეს წინადადება მეტად დიდმნიშვნელოვანი და საყურადღებოაო“: „Libre Porole“ აქებს და ადიდებს რუსეთის იმპერატორის განზრახვას.

პარიჟი. („ჰავ.სააგენტო“) „Journal des Debats“-ი ამბობს: თუ იმპერატორმა თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანა, მაშინ იგი მთელის ქვეყნის თანაგრძნობას დაიმსახურებსო. „Jour“-ი სწერს: რუსეთის მთავრობის წინადადებას, როგორც შინაარსისა, ისე დროთა ვითარების მხრივ, დიდი დამოკიდებულება აქვს ორთა კავშირთან. იგი ამ ორთა კავშირის ნაყოფიაო. „Patrie“-ს სიტყვით, იარაღის აყრა საყოველთაო უნდა იყოს. უნდა გაუქმებულ იქმნას როგორც ჯარი, აგრეთვე ფლოტი. ინგლისი კი უომრად ხელს არ აიღებს თავისს ფლოტზედაო.

ბერლინი. Kleines Journal-ი ამბობს, რომ რუსეთის წინადადება ერთა ისტორიაში შესანიშნავ მოვლენად დარჩებაო. ხელმწიფემ, ამ უძლიერესმა მბრძანებელმა მთელს დედამიწის ზურგზედ, ხმა აღიმაღლა, რომ განახორციელოს ისეთი საგანი, რომელიც პროგრესისა და კაცთა კულტურის განვითარების იდეალს შეადგენს. ეს წინადადება ჰმოწმობს რომ ის, ვინც იგი წარმოსთქვა, მაღლის ჭკუის პატრონიაო.

ბერლინი. „Berliner Tageblatt“-ი ამბობს: რუსეთის წინადადება იმდენად დიდ-მნიშვნელოვანია, რომ იმის დაფასება ძნელიაო. „Berliner Neueste Nachr.“-ი სიხარულით ეგებება რუსეთის წინადადებას და ამბობს, რომ გერმანიაც თანხმობას განაცხადებსო.

ბერლინი. „Vossische Zeitung“-ი იმ აზრისაა, რომ ამ გვარი წინადადება უძლიერესის კაცისა უნაყოფოდ არ ჩაივლისო. დიდი მნიშვნელობა ამ წინადადებას კონფერენციის მოწვევით-კი არ ეძლევა, არამედ ის არის, თუ რა უდევს სარჩულად ამ წინადადებას. უნდა დაძლეულ იქმნას დაბრკოლებანი, რომელთაც, შეიძლება, დააგვიანონ, შეაფერხონ დიადის აზრის განხორციელება, მაგრამ სრულიად მისი ჩაქრობა-კი არ შეუძლიანთ. გაზეთი „Post“-ი ამბობს: კითილშობილური, კაცთ-მოყვარე განზრახვა, რომელიც შედეგია ტანჯულ ერთა თანაგრძნობისა, უეჭველად ხელმწიფეს საყოველთაო სიყვარულსა და პატივისცემას დაუმსახურებსო. გერმანიაში, რასაკვირველია, ყველა წრე სიხარულით მიეგება იარაღის აყრის შესახებს წინადადებას. „Kreuz zeitung“-ი სწერს: იმპერატორის წინადადება ყველას სიხარულსა და აღტაცებას აღუძრავს. ამ წინადადების მნიშვნელობის დაფასება ჯერ-ჯერობით არავის არ შეუძლიანო.

ჰამბურგი. („ვოლფის სააგენტო“) „Hamb. Corresp.“-ის სიტყვით, ეს წინადადება სამუდამოდ დარჩება იმპერატორის ნიკოლოზ II-ის სახელის შეურყეველ ძეგლად. იმპერატორი ნიკოლოზ II თავისს სახელს უკვდავებას უქადის. გერმანია რომ სიხარულით მიეგებება ამ წინადადებას და იმის განხორციელებას დახმარებას აღმოუჩენს, ეს ყოველს ეჭვს გარეშეა. მაგრამ განა ჩვენის დროისათვის მეტად დიადი, მეტად შშვენიერი არ არის ეს წინადადება და ბევრი დაბრკოლება არ აღმოუჩნდება იმის განხორციელებას? ამისი თქმა ეხლაკე ძნელია. ასეა თუ ისე, დღეს მაინც ყველა ვალდებულია სიხარულით მიეგებოს ამ წინადადებას, როგორც ნამდვილ კულტურულ საქმეს.

ვენა. გაზეთები დაწვრილებით იხილავენ იმპერატორის იარაღის აყრის შესახებ წინადადებას. ყველანი თანაგრძნობას უცხადებენ და ამბობენ, რომ იგი მთელის ქვეყნისათვის სასიხარულო იქმნებაო. „Fremdenblatt“-ი ამბობს: მშყრობელი დედამიწის ზურგზედ უდიდესის სახელმწიფოსი გამოდის მშვიდობიანობის მქადაგებლად. ეჭვს გარეშეა, ეს წინადადება ყველასათვის სასიხარულო იქმნება. „Neue Freie Presse“ სწერს: „ხელმწიფე მაუწყებელი მშვიდობიანობისა—ისტორიაში ახალი მოვლენაა. თუ ეს აზრი განხორციელდა, მაშინ ევროპას ახალი ხანა დაუდგება და ხელმწიფის სახელი უკვდავი შეიქმნება.“ „Neues Wiener Tag.“-ის სიტყვით, ამ წინადადების შემდეგ აღმოსავლეთ აზიაში შეტაკებისა აღარავის უნდა აღარ ეშინოდეს. აღმოსავლეთის საქმეს ეხება მნიშვნელობა ეკარგება, რადგანაც თვით რუსეთი იხმობს ყველას სამშვიდობოდ. სახელმწიფოები, რა საკვირველია, გულითადის სიხარულით მიეგებებიან ამ წინადადებას.

ზოგიერთი გაზეთები ამბობენ, რომ ეს წინადადება უნაყოფოდ ჩაივლისო.

ბუდაპეშტი. „Mag. Nrs“-ი სწერს: რუსეთის იმპერატორმა ომს ომი გამოუცხადაო. ეს დიდად სათაყვანო და სასიხარულო ამბავიაო. „Egyet“-ი სწერს: დღემდის არც ერთს ხელმწიფეს ასეთი დიადი აზრი არ უტარებია თავში. განათლებული ქვეყანა სიხარულითა და მადლობით მიეგებება იმ აზრს, რომ შეიარაღებას ბოლო მოეღოსო. ყველა გაზეთები ეგებებიან რუსეთის იმპერატორის წინადადებას და ამბობენ, რომ ამ უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში ასეთი საყურადღებო ამბავი არ მომხდარაო.

რომი. რუსეთის წინადადებამ აქ დიდად იმოქმედა. ზოგი გაზეთი სიხარულით ეგებება ამ ამბავს, ზოგი-კი ეჭვის თვალით უყურებს.

სტოკჰოლმი. გარეშე საქმეთა მინისტრმა დუგლასმა ლაპარაკის დროს უთხრა „Dag. Nyheter“-ის კორესპონდენტს: „პატარა სახელმწიფონი, მათ შორის შვეციაც, სიხარულით მიიღებენ რუსეთის წინადადებას, მაგრამ იმისი სავსებით აღსრულება დიდ სახელმწიფოებისაგან არის დამოკიდებული. ასეთის წინადადების განხორციელება შეუძლიან მხოლოდ ისეთ ხელმწიფეს, რომელსაც პარლამენტისაგან ხელ-ფეხი არა აქვს შეკრული და რომელსაც, თუ ვინიცობაა იმის პროექტი არ ასრულდა, შეუძლიან უფრო გაიმრავლოს ჯარი და უფრო მეტად შეიარაღდეს“.

ლონდონი. ინგლისის გაზეთები სხვა-და-სხვა აზრისა არიან იმპერატორის წინადადების შესახებ. „Times“-ი ამბობს: „რუსეთის იმპერატორის წინადადება დიდი საპოლიტიკო მოვლენაა, რომელიც თუნდაც არ განხორციელდეს, მაინც იმპერატორსა და იმის მთავრობას დიდს სახელს შესძენსო. „Daily NeWs“-ი და „Daily Chron.“-ი ამბობენ, რომ ინგლისი დაუყოვნებლივ მიემხრობა ამ წინადადებასაო.

ვაშინგტონი. გრაფ მურავიოკის ნოტამ საყოველთაო ყურადღება მიიქცია. ოფიციალურ წრეებში იმ აზრისანი არიან, რომ, სხვათა შორის, შეერთებულის შტატების ესპანიაზედ გამარჯვება გაუხდა მიზეზად ამ ნოტის შედგენა გამოქვეყნებასაო. ოფიციალური აზრი ის არის აქ, რომ იმპერატორის ნიკოლოზის წინადადება დღეს განუხორციელებელი ოცნებაა. ჰფიქრობენ, რომ ამერიკა პირადად მონაწილეობას ამ საქმეში არ მიიღებსო.

19 აგვისტო.

მოსკოვი. ხელმწიფე იმპერატორმა, 16 აგვისტოს, მოისმინა რა სალამი მოსკოვის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა და თავად-აზნაურთა წარმომადგენელთა, ბრძანა: „გმადლობთ, ბატონებო, ყოველისავე თქვენ მიერ თქმულისათვის. ჩემთვის განსა-

კუთრებულ დღეს არის სასიხარულო მაგისი გაგონება, დღეს, როდესაც მთელი რუსეთი იგონებს პაპი ჩემის დიადს ღვაწლს, რომელიც ესოდენ საჭირო იყო რუსეთის კეთილ დღეობისათვის. მან შესძლო და შეასრულა ესე დიდნი საქმენი ისე თამამად და განახორციელა ისე მშვიდობიანად თავად-აზნაურობის თავ-დადებულ და უანგარო დახმარების წყალობით. მე და რუსეთს ეს გვახსოვს და ისტორია ამ ღვაწლს ოქროს ასოებით აღიშნავს თავისს ფურცლებზედ. ამიერიდგანაც ნდობით მოვეკიდები თავად აზნაურობას ყველა საქმეში ჩვენის სამშობლოს საკეთილ დღეოდ“.

მოსკოვის ქალაქის მოურავს და სხვა ქალაქის წარმომადგენელთ იმავე დღეს ხელმწიფემ შემდეგის სიტყვით მიჰმართა: „გარდაეცით მოსკოვის მცხოვრებთ, რომ იმპერატრიცა და მე დიდად ნასიამოვნები დავრჩით გუშინდელის გულითადის მიღებით. დედა ჩემმა მომანდო გადმოგცეთ,—გულწრფელად ვწუხვარ, რომ საოჯახო საქმეთა გამო ვერ დავესწრები თქვენთან ერთ დღეს გაწეულ საზ. ერთხელ კიდევ გმადლობთ“.

სადილის დროს, 16 აგვისტოს, ხელმწიფემ მიჰმართა სოფლის მამასახლისებს, უცხო ტომის წარმომადგენელთ და წმ. გიორგის ჯვარის მჭონეთ და სთქვა: „მე დიდად მახარული ვარ, რომ ხელ-ახლად გხედავთ. გმადლობთ სამსახურისათვის განსაკუთრებით გიორგის კავალრებს. ვსვამ, ძმებო, თქვენს სადღეგრძელოს. ურა“.

გუდაპეშტი. „Pester Lloyd“-ი სწერს იმპერატორის წინადადების გამო: „ვერავინ ვერ გაიფიქრებს და იტყვის, რომ რუსეთმა იარაღის აყრის შესახებ ლაპარაკი დაიწყო იმიტომ, რომ უძლურადა ჰგრძნობს თავსაო. პირიქით, ევროპის საზოგადოებაში ჯერ კიდევ დარწმუნებულნი არიან, რომ გაფართოების სურვილი მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთის საერთაშორისო პოლიტიკასთან. თუ ეს სახელმწიფო სრულის ავტორიტეტით გამოდის და მშვიდობიანობის დამყარების და შეიარაღების მოსპობას ჰქ დაგებს, იგი არამც თუ მადლობის ღირსია, არამედ ეს გარემოება აშკარადა ჰყოფს იმასაც, რომ აზრები, რომელიც დღემდის ოცნებად ითვლებოდა, საკმაოდ მომწიფდა და მათ შესახებ ლაპარაკი მაინც შეიძლება“.

ბერლინი. „Nord. Allg. Zeitung“-ში დაბეჭდილია მოწინავე წერილი, რომელსაც სათაურად აქვს „საყოველთაო მშვიდობიანობა“. წერილში ნათქვამია: „ხელმწიფის წინადადებას კონფერენციის მოწვევისა და იარაღის აყრის შესახებ გერმანია გულწრფელის თანაგრძნობით მიეგება. იმ დღეს, რა დღესაც ძეგლი დაუდგეს ყველა რუსეთისათვის დაუვიწყარ მეფე—განმათავისუფლებელს, იმპერატორმა თავისთვისაც დაიდგა შეურყეველი ძეგლი. ეს საკაცთმოყვარეო განზრახვა ისე არსად იქნება დაფასებული, როგორც ჩვენს სამშობლოში, რომელსაც გაერთიანების შემდეგ პირველს საგნად მიაჩნია მშვიდობიანობის დაცვა. დაბრკოლება, რომელიც უნდა გამოსცადოს ამ დიადის კულტურულის აზრის განხორციელებამ, გვაიძულებს, უფრო სიხარულით დავეხმაროთ ხელმწიფეს ამ საქმეში“.

მოსკოვი. 19 აგვისტოს 12 საათსა და 40 წუთზედ მათი უდიდებულესობანი წავიდნენ რკინის გზის სადგურზედ, სადაც შეიკრიბნენ საიმპერატორო გვარეულობის წევრნი და წარჩინებულნი მოხელენი. გამოემშვიდობნენ რა ყველას, მათნი უდიდებულესობანი, დიდის მთავრების მიხეილ ალექსანდრეს ძისა და ალექსი ალექსანდრეს ძითურთ, შევიდნენ ვაგონში, სადაც შეიყვანეს აგრეთვე დიდნი მთავრინანი ოლგა და ტატიანა ნიკოლოზის ასულნი. ნაშუადღევის პირველ საათზედ მატარებელი სამხრეთისაკენ გზას გაუდგა.

გზაზედ კრემლიდგან სადგურამდე ხელმწიფე და დედოფალი აურებელმა ხალხმა გააცილა.

20 აგვისტო

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოს წევრს, გენერალ-ადიუტანტს, ანფანტერიის გენერალს, გრაფ მილიუტინს, სახეში იქმნა რა მიღებული მისი შესანიშნავი ღვაწლი, რომელიც მან გაუწია ტახტსა და სამშობლოს ღვთის მიერ გარდაცვალებულ იმპერატორის ალექსანდრე მეორეს დროს, ებოძა გენერალ-ფელდმარშლობა და ამავე დროს დატოვებულ იქმნა სახელმწიფო საბჭოს წევრად, გენერალ-ადიუტანტად და საგენერალო შტაბში. გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანებანი დიდის მთავრის სერგი ალექსანდრეს ძის, გენერალ-ფელდმარშალის გრაფ მილიუტინის, გენერალის ლეერისა და გენერალ ბობრიკოვის სახლობაზედ.

ოდესსა. როგორც კილლიდგან მოსულ ცნობებითა სჩანს, იქიდგან ესკადრა შიდოს, რომლითაც გერმანიის იმპერატორი და იმპერატრიცა მიბრძანდებიან ჰშავს ზღვაში, რომ იქიდგან პალესტინას წავიდნენ.

პარიჟი. დღეს სამხედრო მინისტრის კაბინეთში პოდპოლკოვნიკი ანრი გამოტყდა, რომ ჩემი დაწერილი, 1896 წლის ოქტომბრის თარიღით აღნიშნული წერილი, რომელშიაც დრეიფუსი სახელდობრივ არის დასახელებულიო. სამხედრო მინისტრმა ბრძანა მაშინვე დაეპატიმრებინათ ანრი, რომელიც წაიყვანეს მონვალერიანის ციხეში.

პარიჟი. ანრის დაპატიმრების შესახებ გვახსენებენ, რომ როდესაც დრეიფუსის საქმის გამო შეეკითხნენ პალატას 25 ივნისს, კავენიაკმა მოიხსენია სამი საბუთის ქაღალდი და დასძინა, რომ მესამეში დრეიფუსი სახელდობრივ არის დასახელებულიო. ამ საბუთის ქაღალდში შემდეგი სიტყვებია ჩართული: „მე ვიტყვი, რომ დრეიფუსთან არავითარი დამოკიდებულება არა მქონდა. ასევე სთქვით. საჭიროა, არასოდეს არავინ შეიტყოს, ის რაც იმას დაემართა“.

პარიჟი. გაზეთები იუწყებიან, რომ პიკარის მიერ კავენიაკთან გაგზავნილ წერილის გამო, რომელშიაც მინისტრის საცნობელად აღნიშნულია ყველა გარემოება, რომელიც პიკარს ხელს უშლიდა გამოეჭრა ღავნებინა საპროფესიონალო საიდუმლოება, კავენიაკი თითონვე შეუდგა გამოძიებას და ჩვენება ჩამოართვა საგენერალო შტაბის ყველა აფიცერს რომელსაც-კი რაიმე დამოკიდებულება ჰქონდათ დრეიფუსისა, ესტერგაზისა და პიკარის საქმესთან. ამ ჩვენების ჩამორთმევის დროს ანრი გამოუტყდა, რომ ჩემი დაწერილია ერთი საბუთის ქაღალდთაგანი, პალატაში წაკითხულიო. ამის გამო კავენიაკმა უბრძანა ანრი ღაე პატიმრებინათ.

პარიჟი. კერძო ცნობებით შევიტყეთ, რომ კავენიაკმა, დანიშნულ იქმნა თუ არა სამხედრო მინისტრად, მიანდო მასთან მყოფს აფიცერს შესწავლა დრეიფუსის საქმისა დაწვრილებით. ჯერ კიდევ 3 აგვისტოს ამ აფიცერმა სიყალბე აღმოაჩინა მაგრამ ეს ამბავი მინისტრს მაშინ აცნობა, როდესაც იგი პარიჟს დაბრუნდა. სამშაბათს გენერალმა გონზმა პოდპოლკონიკი ანრი კავენიაკის კაბინეთში მიიყვანა; იქვე იყვნენ ამ დროს გენერლები როჟე და ბუადეფრი. აქ პოდპოლკოვნიკი ანრი გამოტყდა, რომ მაგ საბუთის ქაღალდს უკანასკნელი წინადადება მე მიუმატეო. ბოლოს სთქვა, რომ მთელი საბუთების ქაღალდი ჩემ მიერ არის ყალბად შადგენილიო. ანრი ამის გამო მონ-ვალერიანეში გაჰგზავნეს.

იუწყებიან, რომ ანრის მიერ ჩადენილ სიყალბის გამო მინისტრის აზრი, რომ დრეიფუსი დამნაშავეაო, სრულიად არ შერყეულაო, ხოლო მინისტრს გარდაწყვეტილი აქვს დასჯას ყველა დამნაშავენი, ვინც უნდა იყვნენო. არა ჰფიქრობენ, რომ ანრის მიერ დანაშაულის აღიარების გამო ბრძანება გაიცეს დამატებითის გამოძიების შესახებ. ანრის საქმე სამხედრო სასამართლოს გარდაეცემა.

წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებთ იმათ, რომელთაც კეთილინებეს და დახმარება აღმოუჩინეს ფულით ნაგომრის წიგნთსაცავს. სია შემომწირველთა: თავ. ივანე მაჭუტაძე 5 მ., მიშა არაზოვი 3 მ., ფოტინე გიტოს ასული თავართქილაძე 3 მ., კოტე წულუკიძე 3 მ., აკაკი გეგეჭკორი 2 მ., არსენ ხუხუნაიშვილი 1 მ., ივლიანე ნინიძე 3 მ., მღვდ. ლეონტი კეკელიძის მიერ შეკრებილი 4 მ., 18 კ. და თარხან ნიკოლაიშვილი 1 მ., სულ 25 მან. და 18 კაპ.

ამას გარდა, როგორც ვიცით, გურულები, რომლებიც წასულნი არიან თავისის სამშობლოდგან რუსეთის სხვა-და სხვა ქალაქში ლუკმა პურის საძიებლად, თავიანთი შრომითა და ოფლით მონაგარს ორ გროშს უგზავნიან თავისს ოჯახს, მაგრამ არ ავიწყდებათ არც საზოგადო საქმე. აი, ეხლაც მივიღეთ ქ. სევასტოპოლში მყოფ მუშა გურულებისაგან 11 მ. 50 კ. ნაგომრის წიგნთ-საცავის სასარგებლოდ, რასათვისაც დიდს მადლობას ვწირავთ. შემომწირველნი ესენი არიან: შალვა როსტომის ძე თავდგირიძე 2 მ., მირიან ფარნას ძე კობალაძე 2 მ., რაჟდენ კიღურაძე 2 მ., კოწია ამბაკოს ძე მაჭსიმენიშვილი 1 მ., გიორგი ფირცხალაშვილი 1 მ., გოგი ივანეს ძე დათუნაიშვილი 1 მ., 50 კ. ილია ლონთათიძე 1 მ., და დათიკო არსენის ძე ქენტი 1 მ.,

წიგნთ-საცავის დამაარსებელნი გრ. ძუძუნავა, ნიკო გეგელაშვილი

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 28 აგვისტოს, შუადღის 12 საათზე, ამა გამგეობის თანადასწრებით, დანიშნულია საჯაროდ იჯარის გაცემა იმისი, თუ ვინ იკისრებს ცხენების საკვების მომზადებას, სახელდობრ: 70 ათასი. ფუთ ქერისა, 60 ათასი ფუთ. თივისა და 30 ათასი ფუთ. ბზისა. მსურველთ შეუძლიანთ პირობანი განიხილონ გამგეობის აღმაშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმე დღეებს გარდა, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე.

(4—6—3)

ტფილისის ქალაქის მგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ რადგანაც 10 აგვისტოს საჯარო ვაჭრობა ძაღლების დაჭერა-ამოწყვეტისა და დახოცილ პირუტყვთა გაზიდვის საქმის იჯარით აღების შესახებ არ მოხდა, ეს ვაჭრობა დანიშნულია 27 აგვისტოს, ნაშუადღევის 1 საათზედ.

პირობების გასინჯვა მსურველთ შეუძლიანთ გამგეობაში დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე.

(3—6.—2)

(3—მ.—1)

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

უმთავრესი სადგურები	მატარ. № 1 ბაქოდგან ბათუმამდე		მატარ. № 2 ბათუმიდგან ბაქომდე		მატარ. № 3 ბაქოდგან ბათუმამდე		მატარ. № 4 ბათუმიდგან ბაქომდე	
	შედის	გამოდ.	შედის	გამოდ.	შედის	გამოდ.	შედის	გამოდ
ბათუმი	8.47	—	—	8.20	8.33	—	—	8.35
სამტრედია	5.31	5.46	11.21	11.36	4.50	5.05	12.05	12.20
ყვირილა	3.37	3.47	1.22	1.32	2.48	2 58	2.16	2.26
ხაშური	12.41	12.56	4.38	5 00	11.47	12.02	5 26	5.41
გორი	11.23	11.32	6.06	6.18	10.23	10.33	6.45	6.55
ტფილისი	8.26	9.10	8.22	9.05	6.33	7.48	9.07	10.57
აქსტაფა	5.23	5.32	11.43	11.51	2.53	3.18	1.45	2.08
განჯა	2.23	2.37	2.35	2 55	11.39	11.54	5.18	5.40
უკჯარა	10.43	10.53	6.08	6.20	7.39	7.49	9.14	9.24
აჯიკაბული	7.29	7.44	9.19	9.30	3.57	4.17	1.00	1.25
ბაქო	—	4.05	12.59	—	—	12.20	5.45	—

შენიშვნა: შავს ხაზებში მოქცეული საათები წუთა დამესხენიშნავს, უსახსრო— დღეს.

სამტრედიასა და ფოთს შორის ორი მატარებელი დადის: პირველი სამტრედიიდგან გადის დილის 5 საათსა და 05 წუთ. და ფოთში შედის დილის 7 საათსა და 42 წუთ., მეორე—სამტრედიიდგან გადის საღამოს 7 ს. 30 წ. და ფოთში შედის საღამოს 10 ს. 08 წ.; პირველი—ფოთიდგან გამოდის საღამოს 8 ს. 55 წ. და სამტრედიაში მთდის საღ. 11 ს. 30 წ., მეორე ფოთიდგან გამოდის დილის 6 ს. 27 წ., სამტრედიაში მოდს დილის 8 ს. 55 წ.

სამტრედიასა და რიონს შორის; სამტრედიიდგან გადის დილის 9 ს. 10 წ., რიონში ჩადის დილის 10 ს. 02 წ. და ესევე მატარებელი რიონიდგან ქუთაისს გადის 10 ს. 10 წ. და ქუთაისში ჩადის 10 ს. 35 წ.

რიონიდგან ქუთაისსვე გადის მატარებელი დილის 5 ს. 30 წ., ქუთაისს ჩადის 5 ს. 55 წ., ქუთაისიდგან რიონს გამოდის დღის 5 ს. 20 წ., რიონში ჩადის 5 ს. 45 წ.

შორაპან-რიონი. შორაპნიდგან გადის დილის 7 ს., რიონში ჩადის დილის 8 ს. 11 წ., რიონიდგან გადის დღის 2 ს. 53 წ., შორაპანში ჩადის დღის 4 ს. 02 წ. ეს მატარებელი შორაპანსა და ქუთაისს შორის პირდაპირ დადის და მგზავრთ სხვა მატარებელში გადასხდომა არა სჭირდებათ.

რკინის გზის საგარეო მატარებლების მიმოსვლა.

ტფილისსა და გორს შორის: ტფილისიდგან გადის დილის 10 ს. 15 წ., გორში ჩადის ნაშუადღევის 12 ს. 48 წ., გორიდგან გამოდის საღამოს 7 ს., ტფილისში ჩამოდის საღამოს 9 ს. 18 წ.

ტფილისსა და ბორჯომს შორის: ტფილისიდგან გადის ნაშუადღევის 2 ს. 30 წ., გორში ჩადის 4 ს. 58 წ., ხაშურში—საღამოს 6 ს. 29 წ., ბორჯომში—7 ს. 50 წ., ბორჯომიდგან გამოდის ღამის 1 ს. 44 წ., ხაშურში ჩამოდის ღამის 2 ს. 54 წ., გორში—ღამის 4 ს. 33 წ. და ტფილისში—დილის 7 ს. 33 წ.

ტფილისსა და მცხეთას შორის: ტფილისიდგან ორი მატარებელი გადის—ერთი—დილის 8 ს. 20 წ., და მცხეთაში ჩადის დილის 9 ს. 16 წ., მეორე—ტფილისიდგან გადის ნაშუადღევის 5 ს. 20 წ., მცხეთაში ჩადის საღამოს 6 ს. მცხეთიდგანაც ორი მატარებელი მოდის ტფილისისაკენ: პირველი მცხეთიდგან გამოდის დილის 10 ს. 8 წ. და ტფილისში ჩამოდის—10 ს. 52 წ. მეორე მცხეთიდგან გამოდის საღამოს 6 ს. 45 წ., ტფილისში ჩამოდის—7 ს. 23 წ.

ბათუმსა და ქობულეთს შორის: ბათუმიდგან სამი მატარებელი გადის: ერთი—დილის 7 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის—დილისვე 8 ს. 15 წ., მეორე—ნაშუადღევის 2 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის 3 ს. 10 წ., მესამე—ნაშუადღევს 5 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის საღამოს 6 ს. 10 წ.; ობულეთიდგანაც სამი მატარებელი მიდის. ბათუმს: პირველი—დილის 11 ს. 15 წ. და ბათუმში ჩადის ნაშუადღევის 12 ს. 12 წ., მეორე—ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. და ბათუმში ჩადის 4 ს 37 წ., მესამე—საღამოს 6. ს. 45 წ. და ბათუმში ჩადის საღამოსავე 7 ს. 40 წ.

ს

Довзолено цензурою, Тифлисъ 20 го Августа 1898 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.